შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (10.100)

2—9 დეკემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ეკოსისტემების მართვის გაუმჯობესების მიზნით ახალი პროექტი განხორციელდება

პროექტის „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და ინვესტირების წახალისებით“ (GAZELLE) მოსამზადებელი ფაზის პირველ სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე დაესწრო.



გასულ წელს, საქართველოში პირველად, UNESCO-მ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ აღიარა და ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეიტანა. ძალიან დიდია ბიოსფერული რეზერვატების როლი ბუნების კონსერვაციისა და ქვეყანაში მდგრადი მიწათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დანერგვის პროცესში, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე; თუმცა, აღნიშნული შედეგების მისაღწევად, უმნიშვნელოვანესია ამ ტერიტორიების ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირება. ახალი პროექტი დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, მიწის მდგრად მართვას და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენას ისახავს მიზნად“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ.

შეხვედრაზე დაინტერესებულმა მხარეებმა საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის მიმართულებით მიმდინარე აქტივობები და არსებული ინიციატივები განიხილეს.

ახალი პროექტის მიზანია დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან ერთად, მიწის მდგრადი მართვისა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საპროექტო დოკუმენტის მომზადებისა და პროექტის იმპლემენტაციის პროცესში, მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. პროექტი ხორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (RECC) თანამშრომლობით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, „ეს პროექტი, რომელიც დედოფლისწყაროში განხორციელდება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან ერთად, მიწის მდგრადი მართვისა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნების კონსერვაციასთან ერთად, ეს თითოეული ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს და ცოტა ხანში ვნახავთ შედეგს- ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების პირობებში როგორ ვითარდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკა და რეალური ხდება ადამიანების კეთილდღეობა“.

სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სრული პროექტი GEF-ის სამდივნოს 2024 წლის მაისში უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად.

ჭაჭუნას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურა განახლების პროცესშია

ჭაჭუნას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით იოსებაშვილმა და UNDP-ის ხელმძღვანელის მოადგილე ანნა ჩერნიშოვამ დაათვალიერეს.

ჭაჭუნას აღკვეთილში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება „საბუკოს“ (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის) პროექტის „ჭაჭუნას აღკვეთილში ბუნების კონსერვაციაზე ორიენტირებული ვიზიტორთა მომსახურების სერვისების შექმნა და განვითარება” ფარგლებში მიმდინარეობს.

საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ ჭაჭუნას ეროვნულ პარკში მოეწყო ტურისტებისთვის განკუთვნილი კოტეჯები, კემპინგებსა და ფრინველებზე დაკვირვების ადგილები, ასევე ფრინველთა კვების სადგური, რომელიც იშვიათი სახეობებისთვის საკვების მიწოდებასა და მათზე დაკვირვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

„ახალი პროექტი ითვალისწინებს ჭაჭუნას აღკვეთილსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ჰაბიტატების აღდგენას, კონსერვაციას და ეკოტურისტული მიმართულების განვითარებას. პროექტის ფარგლებში შემოიღობა ტერიტორია, რომელიც ჭალის ტყის თვითგანახლებას უწყობს ხელს. ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი პროექტები სრულ თანხვედრაშია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების განვითარების პოლიტიკასთან. ანალოგიური პროექტები დაგეგმილია სხვა დაცულ ტერიტორიებზეც“, - განაცხადა იური ნოზაძემ.

აღსანიშნავია, რომ ახალი ეკოტურისტული სერვისები დამატებითი შემოსავლის წყაროა როგორც დაცული ტერიტორიისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც უფრო აქტიურად ჩაერთვება ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში.

პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) მხარდაჭერით, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბუნების კონსერვაციის საზოგადოება „საბუკოს“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ახალგაზრდა ევროპელ ელჩს - მარიამ სამუკაშვილს უმასპინძლა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა წარჩინებულ სტუდენტს, საქართველოში ახალგაზრდა ევროპელ ელჩს, მარიამ სამუკაშვილს უმასპინძლა და მიღწეული წარმატებები მიულოცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მარიამ სამუკაშვილი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ევროკავშირის ახალგაზრდა ელჩია, ივნისში მარიამმა სტრასბურგში ევროსაბჭოს მოდელირებაზე საქართველოს პოზიცია ღირსეულად წარმოაჩინა, წელსვე მან გაეროს ახალგაზრდულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ესპანეთში გაიმართა.

მარიამ სამუკაშვილმა ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში დაგეგმილ კონფერენციაზე მონაწილეობისთვის 1000 ევროიანი სტიპენდია მოიპოვა. კონფერენცია მომავალი წლის აპრილში გაიმართება.

ოცნებობს, სწავლა სორბონის უნივერსიტეტში გააგრძელოს, ასევე ოცნებობს, რომ გახდეს საქართველოს წარმომადგენელი ევროსაბჭოში .

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი-მარიამ სამუკაშვილი-ის საქართველოდანაა, ის დედოფლისწყაროელია, მარიამი აუცილებლად აისრულებს ოცნებებს და მიაღწევს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს“ .

„მოხარული ვარ, რომ ვესწრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციას“

„მოხარული ვარ, დავესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ქალაქ დუბაიში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ტვიტერზე“ წერს.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, საქართველო ერთგულია კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგობის გაძლიერების იდეისადმი.

„მოხარული ვარ, დავესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ქალაქ დუბაიში და წარმოვაჩინო საქართველოს ხედვა კლიმატის ცვლილებების სულ უფრო მზარდ და მწვავე გლობალურ ეფექტთან გამკლავების შესახებ.

საქართველო ერთგულია კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგობის გაძლიერების იდეისადმი, მათ შორის გარემოსადმი კეთილგანწყობილი პროექტების განხორციელების გზით“, - აღნიშნავს პრემიერი.

„რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქის,თამაზ გინტურის მკვლელობა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ძალადობის კიდევ ერთი აქტია“

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქის, თამაზ გინტურის მკვლელობა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ძალადობის კიდევ ერთი აქტია, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

„ძვირფასო კოლეგებო, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომი ცივი ომის შემდეგ სუვერენული ქვეყნის საზღვრების ძალის გამოყენებით შეცვლის პირველი მცდელობა იყო. 15 წელზე მეტია უკვე რუსეთი აგრძელებს საქართველოს განუყოფელი რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების - უკანონო ოკუპაციას. ეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უხეში დარღვევაა.

ხალხი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლი ხდება. ისინი მავთულხლართებით კილომეტრებით არიან იზოლირებულნი სასოფლო-სამეურნეო მიწებისგან, სალოცავი ადგილებისგან, წართმეული აქვთ გადაადგილების უფლება, ძირითადი საჭიროებებისადმი წვდომა.

უკანონო დაკავებები და გატაცებები მზარდი პრაქტიკაა, რომელიც მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებს.

ცოტა ხნის წინ, რუსული საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქის, თამაზ გინტურის მის მშობლიურ სოფელ კირბალთან მკვლელობა, ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ძალადობის კიდევ ერთი აქტია“, - განაცხადა დარჩიაშვილმა.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება რეგიონებში

თბილისის საკრებულოში ევროსაბჭოს თბილისის ოფისის პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის სოციალური სამსახურის უფროსთან, დოდო ხუნაშვილთან და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსთან, ლალი ზურაშვილთან ერთად მონაწილეობდა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის გენერალური მდივანი მეთიუ მორი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ტყემალაძე, საქართველოში ევროპის საბჭოს ხელმძღვანელი ნატალია ვუტოვა, ავსტრიის განვითარების სააგენტოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში ალექსანდერ კარნერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა, რომელზეც 6 რეგიონულ საინფორმაციო სტენდზე წარმოდგენილი იყო პროექტში მონაწილე ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიღწევები, სამოქალაქო მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების გაძლიერების კუთხით. დამატებით 3 თემატურ საინფორმაციო სტენდზე წარმოდგენილი იყო პროექტის მიღწევები ახალგაზრდების ჩართულობის, სამოქალაქო მონაწილეობის კამპანიის, სამოქალაქო მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების ლოკალიზაციის ინოვაციურ მეთოდოლოგიებისა და საინფორმაციო მასალების შესახებ.

გიორგი ტყემალაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: „პროექტი, რომლის შემაჯამებელი ღონისძიება თბილისის საკრებულოში გაიმართა, ითვალისწინებს ადგილობრივი დემოკრატიის გაუმჯობესებას. ის ევროსაბჭოს და ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ხორციელდება უკვე ორი წელია. ვფიქრობ, მან ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. პროექტში ჩათული იყო ყველა მუნიციპალიტეტი. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ საშუალება მოგვეცა ერთმანეთისთვის სწორედ მიღწეული შედეგები გაგვეზიარებინა. მიღებულია მომდევნო ორი წლის სტრატეგიაც, რომლის შესაბამისადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები განახორციელებენ სხვადასხვა რეფორმებს ადამიანის უფლებების მიმართულებით“.

მეთიუ მორი, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის მდივანი: „გვქონდა პროექტის საბოლოო დახურვა, რომელიც ავსტრიის განვითარების ფონდმა დააფინანსა, ხოლო ევროპის საბჭომ კი განახორციელა. ეს გახლავთ ორკომპონენტიანი პროექტი, რომელიც მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების განვითარებას მოიცავს. პროექტის განმავლობაში ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან ვიმუშავეთ. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ასევე შეიქმნა საბჭო, რომელიც ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე, ყველა მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში, ძირითადი ჰაბი იქნება“.

მზია გიორგობიანი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე: „დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, შემაჯამებელი შეხვედრა გაგვემართა იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხრიდან და მხარდაჭერილია ევროსაბჭოს მიერ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ფარგლებში ჩართული იყო 18 მუნიციპალიტეტი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, ამ პროექტის ფარგლებში, მოქალაქეთა ჩართულობით, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ასევე ის, რომ შენარჩუნებული იყოს მდგრადობა. მოხდება ინსტიტუციონალიზაცია ამა თუ იმ ღონისძიებების, რომელიც ხელს შეუწყობს, არამარტო სამოქალაქო აქტივიზმის გააქტიურებას, არამედ, ზოგადად, მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებას, რომელშიც ჩართული იქნება ყველა მხარე სხვადასხვა საქმიანობის შესასრულებლად“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „ევროსაბჭოს ეს პროექტი, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის, იმიტომ, რომ სამი წლის მანძილზე ის გვეხმარებოდა ერთის მხრივ კვლევების ჩატარებაში, რათა საჭიროებები გამოვლენილიყო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, მეორე მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საშუალება გვქონდა, რომ როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები გაგვეზიარებინა და შემდგომ ის ჩვენს მუნიციპალიტეტში დაგვენერგა. მიმაჩნია, რომ დედოფლისწყაროს საკმაოდ ეფექტურად გამოიყენა ეს შესაძლებლობა. რადგან ამ პროექტში ჩართვამდე, ჩვენი მიდგომები სხვანაირი იყო, დღეს კი გაცილებით წინ ვართ წასულები. ჩვენი საზოგადოების ჩართულობა გაზრდილია, შშმ პირთა უფლებები უფრო მეტად დაცულია და უფრო მეტი ხელმისაწვდომობა აქვთ მათ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სერვისებზე, რაც,მიმაჩნია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციისა და ამ პროექტის ძალიან დიდი დამსახურებაა. სიამოვნებით გვექნება მზაობა იმისა, რომ მომავალშიც მივიღოთ მსგავს პროექტებში მონაწილეობა, რათა იმაზე ერთი ნაბიჯით კიდევ უფრო წინ წავიდეთ, ვიდრე დღეს ვართ“.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ევროკავშირი და საქართველო ერთად მდგრადი სოფლის განვითარებისთვის“

28 ნოემბერს თბილისში, საგამოფენო ცენტრში „ექსპო-ჯორჯია“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, ჩატარდა სოფლის განვითარების კონფერენცია: „ევროკავშირი და საქართველო ერთად მდგრადი სოფლის განვითარებისთვის“.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა.

კონფერენციაზე, მხარეების მონაწილეობით, განხილული იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების პროცესის საკითხები შემდეგი თემატიკით:

1. ევროკავშირის CAP - ის რეფორმა და ევროპული პერსპექტივა ახალი საპროგრამო პერიოდისთვის 2023-2027 წლებში:

ა) ახალი საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, ევროკავშირის მწვანე გარიგება თავისი ძირითადი ინიციატივებით

ბ) IPARD, როგორც კანდიდატი ქვეყნების ერთერთი მთავარი ინსტრუმენტი ევროკავშირის CAP-თან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ევროკავშირის ზოგად მიზნებთან.

2. ახალი საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა: ეროვნული არჩევანი, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა სოფლად: უპირატესობები და სოციალური ინკლუზია და თაობათა განახლება, LEADER-ის პრინციპები.

3. ევროკავშირის რეფორმირებული CAP - ის გავლენა ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებზე:

ა) IPA III ბენეფიციარი ქვეყნების ეროვნული სტრატეგიული გეგმები - დაფუძნებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების სექტორულ და ჩარჩო შეთანხმებებზე/შემთხვევის შესწავლაზე;

ბ) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ახალი ინტეგრირებული ღონისძიებებისკენ გადასვლის შესახებ საკითხების განხილვა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის , სერბეთის რესპუბლიკის მენეჯმენტის მაგალითზე.

4. ევროკავშირის CAP-ის რეფორმის შედეგები, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სექტორის დიგიტალიზაცია:

ა) ციფრული გადაწყვეტილებები და საინფორმაციო სისტემები - სტანდარტიზებული გზა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, შექმნილია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორში მხარდაჭერის კონტროლისა და მონიტორინგისთვის.

ბ) გზის რუკა ინტეგრირებული ადმინისტრაციისა და კონტროლის სისტემისკენ (IACS) საქართველოში: ნასწავლი გაკვეთილები.

დღის წესრიგის საკითხების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროპული ლიდერ მიდგომების (ქვემოდან ზემოთ გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების მიერ) დანერგვის და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების - LAG ების აქტიურ ჩართვასა და სამთავრობო მხარდაჭერაზე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესში.

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებისთვის IPARD - ის ღონისძიებების და აკრედიტაციის მოთხოვნების შესახებ ისაუბრა მაკედონიის გადამხდელთა საგენტოს ექსპერტმა ივიცა იანესკიმ.

გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: ევროკავშირის სოფლის ტრანსფორმაციის პოლიტიკა და ხედვა მომავლისკენ ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით. საკითხები შეეხებოდა სამომავლო ხედვებს გაფართოვება-გაწევრიანებამდე დახმარების და გამოცდილებების გაზიარების კუთხით.

პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, ევროკომისიის წარმომადგენელი სულიმა კშიშტოფი, სერბეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და წყლის მართვის ყოფილი მინისტრი გორან ჟივკოვი და ევროპის სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდის (EAGF) და ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (EAFRD) ექსპერტთა ჯგუფის წევრი სალვატორ კარფი(ფინანსური და დამატებითი კონტროლის სისტემა-იტალია).

კონფერენციის დასრულებისას, დასკვნითი შეფასებები გააკეთა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ.

მშობლები და შვილების კრიტიკული ასაკი

ალბათ არავინ უარყოფს იმას, რომ მშობლების უმეტესობისთვის რთულია შვილის გარდატეხის ასაკის თავისებურებებთან გამკლავება. ბევრი მშობელი, რომლის შვილიც ჯერ კიდევ საკმაოდ პატარაა, შესაძლებელია ფიქრობს, რომ მისთვის და მისი შვილისთვის ეს ასაკი უპრობლემოდ ჩაივლის. როგორც იტყვიან, ოცნებას არავინ მოუკლავს.

გარდატეხის ასაკი ძალიან სწრაფი ცვლილებების პერიოდია, როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი თვალსაზრისითაც. ეს ის ასაკია, როდესაც ბავშვები, ასე ვთქვათ, „სამსახურიდან ხსნიან“ მშობლებს და წლების შემდეგ ისევ აბრუნებენ მათ, მაგრამ უკვე როგორც კონსულტანტებს და არა როგორც მენეჯერებს“.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, სწორი მიდგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული აქ ჩამოთვლილი პრობლემების შედარებით ცივილიზებული გზით მოგვარება.

გარდატეხის ასაკის პრობლემა №1 გგონიათ,რომ თქვენს შვილს სძულხართ!

შესაძლებელია, სულ ცოტა ხნის წინ თქვენი ტკბილი შვილი გთხოვდათ მასთან ერთად კლასის ექსკურსიაზე წასვლას ან დაძინების დროს მასთან წამოწოლას. უცებ კი, ფაქტიურად ერთ დღეში, აღმოაჩენთ, რომ ის იწყებს თქვენს მიმართ საშინელი აგრესიის გამოვლენას, ყველა თქვენი სიტყვის აბუჩად აგდებას და თქვენი რჩევების დაცინვასაც კი.

თუ კარგად დააკვირდებით მის საქციელს და დაფიქრდებით, გაიხსენებთ, რომ თქვენ მსგავს სიტუაციაში უკვე ყოფილხართ, როცა თქვენი შვილი იყო 2-3 წლის ასაკის.

განსხვავება ისაა, რომ მაშინ თქვენი შვილი ყვიროდა გამუდმებით „არაა“ „ არ მინდა“-ს, ახლა კი უმეტეს შემთხვევაში ყველაფერზე ზიზღის და მიუღებლობის გამომხატველ სახეს იღებს.

ძალიან რთულია მშობლებისთვის ასეთ რამესთან გამკლავება, გარდატეხის ასაკის არსი სწორედაც რომ გამოყოფა და ინდივიდუალიზმის ძიებაა. ბევრ ბავშვს ამ დროს სჭირდება კიდევაც მშობლებისგან შორს თავის დაჭერა, რათა შეძლოს საკუთარი იდენტობის პოვნა.

თინეიჯერობის ასაკში ბავშვები უფრო მეტ აქცენტს მეგობრებზე აკეთებენ, ვიდრე მშობლებზე, რაც ნორმალური მოვლენაა.

როგორ მივუდგეთ ამ საკითხს:

ზოგჯერ მშობლები იმდენად გულნატკენები არიან შვილების ქცევით, რომ მათ საქციელს იგივე ფორმით — ანუ შვილის ერთგვარი უარყოფით პასუხობენ. ეს შეცდომაა. გარდატეხის ასაკში ბავშვებმა იციან, რომ მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ მშობლები, თუნდაც უჭირდეთ ამის აღიარება. თუ თქვენ ნერვიულობთ მათი ქცევის გამო, არ დაგავიწყდეთ, რომ ისინიც ძალიან დიდ შინაგან ცვლილებებს განიცდიან ამ დროს და ფაქტიურად ემოციების ერთგვარ კარუსელზე არიან მოქცეული. როგორც მშობელმა, თქვენ უნდა ეცადოთ და მაქსიმალურად შეინარჩუნოთ სიმშვიდე და გაუმკლავდეთ ამბოხების ასაკს, რომელიც როგორც წესი, გადაივლის ხოლმე 16-17 წლამდე.

რა თქმა უნდა, არავინ ამბობს იმას, რომ შვილს უფლება უნდა მისცეთ, შეურაცხყოფა მოგაყენოთ და ცუდად მოგექცეთ. თუ ასეთი რამ ხდება, თქვენ უნდა მოითხოვოთ მარტივი ქცევის წესების დაცვა. ასეთ დროს კარგია ძველი მიდგომის გამოყენება ანუ „თუ კარგს ვერაფერს იტყვი, სჯობია საერთოდ არ თქვა არაფერი“. თუ თქვენს თინეიჯერ შვილს აგრძნობინებთ, რომ მის გვერდით ხართ ყოველთვის, მიუხედავად ყველაფრისა, ის პერიოდულად მაინც დაიბრუნებს თქვენდამი ნდობას, რომელიც შეიძლება ითქვას, საკმაოდ იშვიათია გარდატეხის ასაკში.

გარდატეხის ასაკის პრობლემა №2 საკომუნიკაციო მოდყოგილობები მართავენ მათ ცხოვრებას.

რეალურია ის ფაქტი, რომ ურთიერთობა მობილური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, მოზარდებს ნაკლებად კომუნიკაბელურს ხდის გარდატეხის ასაკში. ყოველ შემთხვევაში, მობილური მოწყობილობების გამოყენების გამო, მათ უფრო ნაკლები კომუნიკაცია აქვთ იმ ადამიანებთან, ვისთანაც ისინი ცხოვრობენ. მაგრამ თანამედროვე ცხოვრების სტილის გათვალისწინებით, ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების

მთლიანი აკრძალვა არამხოლოდ არარეალურია, არამედ ზედმეტად მკაცრი სასჯელია.

„თანატოლებთან კომუნიკაცია და მეგობრების წრესთან სიახლოვე თინეიჯერისთვის უმნიშვნელოვანესია“- გვირჩევენ ექსპერტები.

როგორ მივუდგეთ ამ საკითხს:

ამ დროს ვეცადოთ მთლიანობაში შევაფასოთ სიტუაცია. თუ ჩვენი შვილი სკოლაში კარგად სწავლობს, აკეთებს აუცილებელ საქმეებს სახლში და მთლიანად არ არიდებს თავს ოჯახის წევრებთან ურთიერთობას, მაშინ უკეთესია, ზედმეტად არ გავამახვილოთ ამ საკითხზე ყურადღება. შესაძლებელია გარკვეული წესების შემოღება, მაგალითად: არავითარი მესიჯების გაგზავნა და მობილურ ტელეფონზე საუბარი სადილის დროს. ზოგიერთი მშობელი, მაგალითად, არ აძლევს უფლებას მის თინეიჯერ შვილს, იქონიოს კომპიუტერი მის ოთახში, რადგანაც ასე უფრო რთულია კომპიუტერით სარგებლობის კონტროლი და ეს აბსოლუტურად მისაღები მიდგომაა. ბევრი ექსპერტი გვირჩევს, რომ შემოვიღოთ წესი, რომლის მიხედვითაც, მოზარდი ვალდებულია დაძინებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე გამორთოს კომპიუტერი,

რაც უზრუნველყოფს საკმარის დროს ძილისთვის.

რადგანაც განვითარებულ ქვეყნებში მოზარდები ადრევე იწყებენ მუშაობას და აქვთ საკუთარი შემოსავალიც, სპეციალისტები ურჩევენ მშობლებს, რომ თინეიჯერმა შვილებმა თვითონვე გადაიხადონ მობილური ტელეფონის მომსახურების თანხა, რაც გარკვეულ ლიმიტს დააწესებს მობილური ტელეფონის გამოყენებაზე. ასევე მაქსიმალურად ვაკონტროლოთ მოზარდი იმ შემთხვევაში, თუ ის იყენებს სოციალურ ქსელებს, მაგალითად, როგორიცაა Facebook-ი. ვეცადოთ, გამოვიყენოთ სპეციალური პროგრამები, რომლებიც კომპიუტერის გამოყენების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ამ პროგრამების საშუალებით, ასევე შესაძლებელია არასასურველ საიტებზე წვდომის დაბლოკვა.

გარდატეხის ასაკის პრობლემა №3 სახლში გვიან დაბრუნება

როდესაც შვილებს დაწესებული აქვთ საღამოს სახლში დაბრუნების სტანდარტული დრო და აგვიანებენ, ჩვენ ვღიზიანდებით და ვერ ვიგებთ, თუ რატომ უკეთებს შვილი იგნორირებას დაწესებულ შეთანხმებას.

„გარდატეხის ასაკის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა დაწესებული ლიმიტების ტესტირება და ყველა წესისთვის რეალური გამოცდის მოწყობა“-ამბობენ ექსპერტები. თინეიჯერებს სწორედაც, რომ სჭირდებათ ლიმიტების დაწესება და მშობლებმაც სულ უნდა იზრუნონ აუცილებელი ლიმიტების არსებობაზე ამ ასაკში.

როგორ მივუდგეთ ამ საკითხს:

სანამ დასჯის მკაცრ ზომებს მივმართავდეთ, ვცადოთ დაველაპარაკოთ ჩვენი შვილის მეგობრების მშობლებს და გავარკვიოთ, თუ რომელ საათზე ითხოვენ ისინი შვილების სახლში დაბრუნებას. შესაძლებელია, რომ ჩვენს მიერ სახლში დაბრუნებისთვის დაწესებული დრო ზედმეტად მკაცრი და არარეალური აღმოჩნდეს ჩვენი შვილის მეგობრების წრეში. ამიტომაც აჯობებს სიტუაციის კარგად შესწავლის შემდეგ, შევთანხმდეთ სახლში დაბრუნების აუცილებელ დროზე. მკაცრად გავაფრთხილოთ შვილი, რომ დაგვიანება შესაძლებელია მხოლოდ 10 წუთით და თუ ამ წესს არ დაიცავს, ამას აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი შედეგი, მაგალითად, ასეთი შედეგი შესაძლებელია იყოს გვიან საღამოს მეგობრებთან სეირნობის უფლების ჩამორთმევა ერთი კვირის მანძილზე.

თუ ვხვდებით, რომ ჩვენი შვილი სახლში მოსვლას აგვიანებს იმის გამო, რომ არასასურველ საქმეებშია გარეული ან თუ ამის მიზეზი არის ის, რომ თავს სახლში ბედნიერად ვერ გრძნობს, აუცილებლად უნდა დაველაპარაკოთ მას და გავარკვიოთ,თუ რაშია რეალურად საქმე. მაგრამ თუ ჩვენს მიერ დადგენილი სახლში დაბრუნების აუცილებელი დრო ნორმალურია და მისაღებია ჩვენი შვილის მეგობრების წრეშიც, მაშინ აუცილებელია იცოდეს მოზარდმა, რომ ამ წესის დარღვევას შესაბამისი შედეგები აუცილებლად მოყვება. თუ ვადგენთ რაიმე წესს, რეალურად უნდა განვახორციელოთ იგი. ხოლო არარეალური „ვითომ წესებით“ ჩვენ ვერ

შევაშინებთ ჩვენს თინეიჯერ შვილს და ის ამას აუცილებლად პირდაპირ გვეტყვის კიდეც.

გარდატეხის ასაკის პრობლემა №4 შვილის მეგობრები,რომელიც ჩვენ არ მოგვწონს:

ჩვენ ყოველ ჯერზე უსიამოვნო განცდა გვეუფლება, როცა ვხედავთ ჩვენი შვილის უცნაურად ჩაცმულ და საოცარი ვარცხნილობის მქონე ჩვენთვის არასასურველ მეგობრებს. ხშირად ვფიქრობთ და არ ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ — ვთქვათ რამე თუ უმჯობესია გავჩუმდეთ?

როგორ მივუდგეთ ამ საკითხს:

ვიცოდეთ, რომ შესაძლებელია ბავშვები უცნაურად იცვამდნენ, თმას ჩვენთვის მიუღებლად იკეთებდნენ და ხმაურიანებიც იყვნენ,მაგრამ ექსპერტები გვირჩევენ, რომ მშობლებმა თავი შევიკავოთ ჩვენი შვილების მეგობრების ჩაცმის თუ ვარცხნილობის სტილის გაკრიტიკებისგან. გარდატეხის ასაკში ბავშვები იმდენად მიჯაჭვულები არიან მეგობრებს,

რომ მეგობრების კრიტიკა მათ მიერ აღიქმება პირდაპირ, როგორც მათი საკუთარი კრიტიკა.

მაგრამ მეორეს მხრივ, თუ ვიცით, რომ ჩვენი შვილი მეგობრობს პრობლემურ ბავშვებთან, რომლებიც აცდენენ სკოლას და იღებენ მოსაწევ საშუალებებს, საუბარი ბავშვთან აუცილებელია. მაგრამ ვეცადოთ, არ ჩავაგდოთ ჩვენი საუბრით მოზარდი ისეთ სიტუაციაში, რომ მას საკუთარი თავის დაცვა და გამართლება მოუწიოს. უბრალოდ ვუთხრათ, რომ ვნერვიულობთ მასზე, რომ ის ცუდ წრეშია გარეული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მთლიანად ვერ ავუკრძალავთ ჩვენს შვილს ურთიერთობა ჰქონდეს საეჭვო თანატოლებთან, შეგვიძლია მეტი აქტიურობა გამოვიჩინოთ და მაქსიმალურად ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ შესაძლო პრობლემები. ნუ შეგვეშინდება, მივმართოთ პროფესიონალს. ფსიქოლოგის რჩევა ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს.

გარდატეხის ასაკის პრობლემა № 5 ამ ასაკში ყველაფერი ბრაგედიაა

ბოლო დროს თუ ვამჩნევთ, რომ ჩვენი შვილი ყველაფერზე ნერვიულობს და ბრაზდება, რაც უფრო მეტად ვცდილობთ დახმარებას, მით უფრო მეტად რთულდება სიტუაცია და მატულობს გაღიზიანება და კარების მიჯახუნებაც. გარდატეხის ასაკში მოზარდები ყველაფერს განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიან.

ჩვენთვის რაც უმნიშვნელოა, მათთვის შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს.

როგორ მივუდგეთ ამ საკითხს:

როგორც ექსპერტები გვირჩევენ- მშობლები ძალიან ხშირად ვაუფასურებთ და უმნიშვნელოდ ვთვლით ბევრ ისეთ საკითხს, რაც თინეიჯერისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთი მიდგომის გამო ბავშვი ფიქრობს, რომ მას მშობლები საერთოდ ვერ უგებენ , საბოლოოდ უარს ამბობს მშობლებთან საუბარზე და არაფერს უყვება მათ. შესაძლებელია მისთვის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ მისი საუკეთესო მეგობარი ფლირტაობს მის შეყვარებულთან, რის გამოც ჩვენც ამ საკითხს ძალიან სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ნუ შევთავაზებთ მას რჩევას, ნუ დავამცირებთ და აგდებულად ვისაუბრებთ მის მეგობრებზე. ვეცადოთ, ეს ყველაფერი მინიმუმადე დავიყვანოთ და შემოვიფარგლოთ იმის თქმით, რომ ერთ დღეს ის მიხვდება, თუ რა უმნიშვნელოა სკოლის დროინდელი რომანტიკული ურთიერთობები ცხოვრების უკვე დიდ გზაზე. უბრალოდ მოვუსმინოთ და გამოვხატოთ თანაგრძნობა, ვეცადოთ ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ მის ადგილას — ჩვენც ხომ ვიყავით ერთ დროს თინეიჯერი.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ლაშა ბექაური ტატამზე ფრანგული თუ ქართული დროშით?

9-10 დეკემბერს სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს იგივე ჩემპიონთა ლიგას უმასპინძლებს (იქვე ევროპა ლიგის შეხვედრებიც ჩატარდება) და წინასწარი ინფორმაციით, ტატამიზე 18 ქართველი ძიუდოისტი გავა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა ბექაური ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში ფრანგული პარი სენ ჟერმენის ღირსებას დაიცავს. ბექაურმა ფოტოები ინსტაგრამის გვერდზე გამოაქვეყნა. ქართველი ძიუდოისტი წერს, რომ ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი უკვე გაფორმდა. ამ ინფორმაციამ აჟიოტაჟი გამოიწვია ჩემპიონის გულშემატკივრებში. დაისვა კითხვა – ლაშა ბექაური ტატამზე ფრანგული დროშით გამოვა თუ ქართულით?**

ლაშა ძიუდოს ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი სეზონის გამარჯვებულია. მან ჩემპიონის ტიტული მებრძოლთან ერთად მოიპოვა, რომელმაც ფინალში სერბულ crvena zvezdas 3:2 მოუგო.

ამჯერად ბექაურს კლუბში კიდევ ერთი ქართველი დახვდება. პარი სენ ჟერმენის ღირსებას ლუკა მხეიძე იცავს, რომელიც საფრანგეთის სახელით ასპარეზობს. სავარაუდოდ, პარიზული კლუბის შემადგენლობა ასეთი იქნება: ლუკა მხეიძე, ვალიდ ხიარი, ალფა უმარ ჯალო, ლაშა ბექაური და ტედი რინერი

ძიუდოისტთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ბექაური ფრანგულ პსჟ-სთან კონტრაქტს გამოეხმაურა, რომელიც ქომაგების ნაწილმა არასწორი ინტერპრეტაციით გაიგო. ცხადია, ბექაურის საქართველოს სახელით გამოსვლას არაფერი ემუქრება, რაზეც ყურადღება თავად ლაშამაც გაამახვილა.

„ხალხო, რა შუაშია საქართველოდან წასვლა. როგორც ფეხბურთშია საკლუბო ჩემპიონატი, ასევე არის ძიუდოში და როგორც ფეხბურთელისთვის არის პრესტიჟული თუნდაც პარიზის გუნდში თამაში, ასევე არის ჩემთვის, თან ეს შეჯიბრი წელიწადში ერთხელაა. თუ აქამდე არ იცოდით, ამასაც გეტყვით, რომ ბევრი ქართველი ძიუდოისტია სხვადასხვა უცხოურ გუნდში და რაც შეეხება სანაკრებო გამოსვლებს, ჩვეულებრივად გაგრძელდება ჩვენი სამშობლოს ღირსების დასაცავად! არაფერია სანერვიულო“ – ამბობს ლაშა ბექაური.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პარიზულ გრანდთან ხელშეკრულება გააფორმა და მისი სახელით 9-10 დეკემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაგეგმილ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე (იგივე ჩემპიონთა ლიგა) გამოვა. ბოლო ინფორმაციით, ფრანგებთან მსგავსი კონტრაქტები დადეს ლაშა შავდათუაშვილმა და ტატო გრიგალაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

მათე მარტყოფლიშვილი კახეთის ჩემპიონია

25-26 ნოემბერს ქ.ლაგოდეხში ჩატარდა ჭადრაკში სოსო კიკილაშვილის სახელობის კახეთის ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობდნენ 8 და 10 წლამდე ასაკის ვაჟები და გოგონები. შეჯიბრი წარიმართა შვეიცარიული სისტემით 7 ტურად.

ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი საჭადრაკო ბატალიები 10 წლამდე ვაჟების ჯგუფში მიმდინარეობდა. პირველ დღეს დედოფლისწყაროელმა **მათე მარტყოფლიშვილმა** 4 ტურიდან 4 ქულა დააგროვა და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერობა აღარავის დაუთმო. ასე რომ, წმ. მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა ინტერნატის მოსწავლე, 9 წლის მათე მარტყოფლიშვილი 2023 წლის კახეთის ჩემპიონია! ვულოცავთ მას ამ წარმატებას და იმედია, მომავალში საქართველოს ჩემპიონატზე ღირსულად დაიცავს ამ ტიტულს.

10 წლამდე გოგონათა შორის მეორე ადგილი ჩვენმა მოსწავლემ - **სალომე კვიწინაშვილმა** დაიკავა, რაც მისთვის საკმაოდ კარგი შედეგია და ვულოცავთ! სალომემ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაამჯუბესა სადებიუტო სვლების ხარისხიანობა.

ვიმედოვნებთ, რომ მიტელშპილისა და განსაკუთრებით, ენდშპილის წარმართვის ხელოვნების გაუმჯობესებით, ეს მოზარდი ბევრად უკეთეს შედეგებს დადებს.

8 წლამდე ასაკის ვაჟებში მონაწილეობდა **ნიკოლოზ იაკობიშვილი,** რომელმაც 23 მონაწილეს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიკოლოზის საჭადრაკო სწავლების პერიოდი სულ რამოდენიმე თვით განისაზღვრება, მაშინ ეს შედეგი ურიგოდ არ უნდა ჩანდეს და ჯეროვან მეცადინეობას აუცილებლად წარმატებებიც მოჰყვება. აქვე, ჭადრაკის მოყვარულ მშობლებს შევახსენებთ, რომ თუ ბავშვში შევამჩნიეთ ჭადრაკისადმი მიდრეკილება, რაც შეიძლება გამოხატული იყოს ისეთი თამაშებისადმი ლტოლვით, როგორიცაა - შაში, ნარდის თამაში, ან ემჩნევა არითმეტიკული ნიჭი, ნუ დააყოვნებთ ბავშვის მოყვანას საჭადრაკო წრეში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჭადრაკის შესწავლა შეუძლია ბავშვს, რომლის ასაკი 4,5 წელია. ამიტომ ნუ აყოვნებთ და მიეცით ბავშვის ბუნებრივ ნიჭს განვითარების შესაძლებლობა.

ცნობისათვის - კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში (მაგ. საგარეჯო, გურჯაანი, ლაგოდეხი) 6 და 7 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა რაოდენობა ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ასაკში არც-ერთი მოჭადრაკე არ გვყავს. ასევე, საბავშვო ბაღის აღმზრდელებსაც ვთხოვდით, რომ შესაბამისი ნიჭის აღმოჩენისას, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ მშობლებს.

გიორგი (გოგი) კიკილაშვილი
დედოფლისწყაროს ჭადრაკის წრის პედაგოგი,
კახეთის ფედერაციის გენერალური მდივანი

საქართველოს რეგიონული ტურნირი კიკბოქსინგში

ზემო მაჩხაანის სპორტულმა კლუბმა „ზაქები“, რამდენიმეწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ფუნქციონირება განაახლა.

რამდენიმე დღის წინ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში გაიმართა საქართველოს რეგიონალური ტურნირი კიკბოქსინგში (WFK -ს ფედერაცია). ტურნირში მონაწილეობდნენ გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ახმეტისა და ზემო მაჩხაანის კლუბები.

ზემო მაჩხაანელმა სპორტსმენებმა (გუნდის მწვრთნელი გენადი ნატროშვილი) საკმაოდ კარგად იასპარეზეს და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

აკაკი ნატროშვილმა 60 წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა, ნიკა ჭაბაშვილმა-68 კგ.

წონით კატეგორიაში ასევე პირველი ადგილის მფლობელი გახდა, საბა ლობჟანიძემ (47 კგ.) და რატი დაუშვილმაც (35 კგ.) პირველობა არავის დაუთმეს პირველადგილოსნის ტიტული მოიპოვეს.

კალათბურთელების მორიგი წარმატება

მიმდინარე წლის 28 ნოემბერს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში ჩატარდა სპორტის პედაგოგის ლენა ზარდიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში, სადაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო ვაჟთა გუნდმა - მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი.

ტურნირზე, საუკეთესო თამაშისათვის, თათია ბოჭორიშვილს გადასცეს სიგელი. მწვრთნელი - დალი ბენაშვილი.

ღვთის კაცი – სქიმარქიმანდრიტი ვიტალი

„წმინდანები ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც ჩვენ ,ყველა. ისინი მიწაზე ფეხით დადიოდნენ და ხელით მუშაობდნენ, მათი სული მუდამ ღმერთთან მყოფობდა და გონებით არ სურდათ, ღვთის ხსოვნას მოსწყვეტოდნენ. ქრისტეს სიყვარულისთვის, მათ მიწაზე ყველა მწუხარება დაითმინეს, არ ეშინოდათ არანაირი განსაცდელის და ასე განადიდებდნენ უფალს. ამისათვის შეიყვარა და განადიდა ისინი და თავისთან მარადიულ სასუფეველში დაამკვიდრა“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ათონელ მოღვაწეს, სქიმმონაზონს- სილუანს (1938), რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ნეტარმა ბერმა სილუანმა სიცოცხლე გაატარა უბრალოდ, „როგორც ყველამ“ და ამ უბრალოებამ თავის დროზე იგი მის თანამედროვეთა მზერისაგან დაიფარა.

ასე იყო ყოველთვის, ასეა ახლაც.

აი, სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს შორისაც ცხოვრობდა ადამიანი, რომელიც მიწაზე ფეხით დადიოდა, საკუთარი ხელით მუშაობდა და ისეთივე იყო, როგორც ყველა: მძიმე ბავშვობა, შიმშილი, სიცივე, დევნა, ავადმყოფობები. მაგრამ ამ ადამიანის სულში მხურვალე ცეცხლი ენთო და ნებისმიერი, ვისაც მასთან შეხვედრა უხდებოდა, გრძნობდა ამას. ერთხელ ერთი პროვინციელი მოსახლის ჭიშკარზე ახალგაზრდა მგზავრმა დააკაკუნა, სახლის პატრონმა უხმოდ გახსნა კარი. ახლობელთა შეკითხვაზე, რატომ შემოიყვანა სახლში სრულიად უცხო ადამიანი, ისე, რომ მათთვის არაფერი უკითხავს, პატრონმა უპასუხა: „მე მისი ანგელოზებრივი სახე დავინახე“. ეს იყო მომავალი სქიმარქიმანდრიტი ვიტალი (სიდორენკო).

მან თავისი სამონაზვნო გზა გლინის უდაბნოში დაიწყო. მონასტრის დახურვის შემდეგ მამა ვიტალი მოგზაურობდა, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, სადაც დაახლოებით ცხრა წლის განმავლობაში მთაში მოსაგრეობდა. ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან ზოგიერთები იმათგან, ვისთან ერთადაც უხდებოდა მას განდეგილის ცხოვრების ჯვრის ზიდვა მძიმე 60-იან წლებში. „ძალიან გვიყვარდა მამა ვიტალი“- იხსენებს ერთ-ერთი მისი თანამოსაგრეთაგანი უდაბნოდან, – მას მადლიანი სიყვარული ჰქონდა, სულიერი განსჯა-სწორი. სიღარიბე უყვარდა, ჩუმი და მოკრძალებული იყო.ცხოვრების უკანასკნელი წლები მამა ვიტალიმ თბილისში გაატარა. ქვეყნის ხვადასხვა კუთხიდან უამრავი ადამიანი მოდიოდა მასთან ნუგეშისა და რჩევისთვის და უნუგეშოდ არავინ ბრუნდებოდა უკან. იგი თითოეულს ისე

ემსახურებოდა, როგორც თვით ქრისტეს.

ამის შესახებ ერთმა ბერმა ასეთი რამ მოგვითხრო: „ერთხელ მამა ვიტალის ვკითხე იესოს ლოცვის მოპოვების შესახებ. პასუხად კი აი, რა მოვისმინე: „გლინის უდაბნოში ერთი მორჩილი ცხოვრობდა. იგი ტრაპეზარი იყო, ძმებს საჭმელს აწვდიდა და იმავე დროს ასეთი ჩვევა ჰქონდა: როდესაც ტრაპეზი მოჰქონდა, გონებით (აზრით) ქედს იხრიდა ყველას წინაშე და გულში ამბობდა: „მიიღეთ, ძმებო, ჩემი ულირსი მსახურება!“. იგი წარმოიდგენდა, რომ ემსახურებოდა ძმებს, როგორც ქრისტეს, როგორც მინიერ ანგელოზებს. ერთხელ, როდესაც იგი ასე მოიქცა, მის გულში მხურვალე განუწყვეტელი ლოცვა აღენთო იესოს მიმართ. ამის შემდეგ იგი ამას უკვე ძალდატანების გარეშე აღასრულებდა“.

იმის მიხედვით, თუ როგორ იყო ეს თქმული, მივხვდი, რომ მამა ვიტალი საკუთარ თავზე მიამბობდა. ამგვარად, თუკი გსურს, გულითადი ლოცვის მადლი მოგენიჭოს, გქონდეს თავმდაბალი ქმედება, ლოცვა და ღრმა, გულწრფელი, ღვთივსათნო და ბევრისთვის შემჩნეველი“.

ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ეკლესიის დევნა უკიდურესად გაძლიერდა. მამა სერაფიმეს კურთხევით, მამებმა ვიტალი ბერად აღკვეცეს და აფხაზეთის მთებში გაამგზავრეს. აფხაზეთის მთებში მოსაგრე ბერებს ძლიერ შეუყვარდათ ახალგაზრდა ბერი, რომელზეც ამბობდნენ - „ერთი ნაკლი აქვს - ყველაფრის გაცემა უყვარსო“. 1969 წ. სსრკ-ის–სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი-ის აგენტებმა შვეულმფრენიდან მოიძიეს ბერთა ადგილსამყოფელი და სპეცოპერაციის შედეგად ყველანი დააპატიმრეს. თუმცა ბერი ვიტალი იმ დროს სხვაგან იმყოფებოდა და დაპატიმრებას გადაურჩა. მამა სერაფიმემ გადაწყვიტა მამა ვიტალი თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში გაემგზავრებინა, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა მეუფე ზინობი (მეუფე ზინობმა ბერად აღკვეცა უწმინდესი და უნეტარესი ილია II). მამა ვიტალის ძლიერ უყვარდა ქართული ღვთისმსახურება, გალობა და დიდად აფასებდა ქართველ წმინდანებს. მას ძლიერ უხაროდა საქართველოში რწმენის აღორძინება, „რუსეთს კი სძინავსო“, - ამბობდა სინანულით.

მამა ვიტალი 1980-იან წლებში ისევ დაბრუნდა სააქართველოში. მისთვის საქართველო ყოველთვის „წმინდა ივერია“ იყო. სამოქალაქო ომი მან 30 წლით ადრე იწინასწარმეტყველა. მონაზონთა თქმით, თბილისს ყოველ საათს ოთხივ კუთხივ აკურთხებდა და უფალს მის დაცვას ევედრებოდა. აფხაზეთის ომამდე რამდენიმე წლით ადრე აფრთხილებდა გარშემო მყოფთ: „იქნება მიწაზე საშინელი სისხლისღვრა, ძმათა კვლა, შიმშილი. ნუ გადააგდებთ საჭმელს, რადგან მაშინ ნარჩენებითაც კმაყოფილნი იქნებით. შეიცანით საკუთარი თავი და გაიგეთ, რომ რაც სამყაროში ხდება, ჩვენი ბრალია, ჩვენი ცოდვებისა“. 1992 წელს ძმათამკვლელი ომის დროს მამა ვიტალის გაამკაცრა მარხვა და ლოცვა; მთელ დღეებს მდუმარებასა და ლოცვაში ატარებდა. საღამოობით კი ანთებდა უამრავ სანთელს, მუხლს მოიდრეკდა ცივ ქვაზე, რომელიც საგანგებოდ ლოცვისათვის შეიტანა სენაკში და უფალს ავედრებდა საქართველოს. 90-იან წლებში მეტრო „დიდუბესთან“ იარაღით დატვირთული ვაგონების აფეთქებისას, მამა ვიტალი ღვთისმშობლის ხატით ხელში ლოცულობდა და გამოტყორცნილ ჭურვებს აკურთხებდა. საოცარია, მაგრამ ინცინდენტის დროს არავინ დაღუპულა.

მამა ვიტალი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლში მსახუროობდა. ცხოვროობდა სამლოცველო სახლის ეზოში ხის ფიცრულ კელიებში. მისი აქ მოღვაწეობის წლები არც არქივში იძებნება და არც სამლოცველო სახლშია შემორჩენილი. შესაძლოა ყოფილიყო გარკვეული ფოტოკადრები, სადაც მამა ვიტალის დედოფლისწყაროს მოღვაწეობაა ასახული. სამლოცველო სახლში ბევრი ფოტოსურათი ინახებოდა, მაგრამ მათი ნაწილი 2012 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა. როგორც ამბობენ, მასთან აღსარებაზე მისული მრევლის ცოდვებს წინასწარ გრძნობდა და მათ სათანადო რჩევებს აძლევდა.

მამა ვიტალი 1992 წლის 1 დეკემბერს გარდაიცვალა, მაგრამ როგორც ერთხელ ნეტარმა ბერმა სილუანმა თქვა, ცხოვრობდნენ რა მიწაზე, წმინდანებმა სულიწმინდისგან ისწავლეს ღვთაებრივი სიყვარული და ვისაც მიწაზე სიყვარული შეუძლია, ასევე გადადის მარადიულ ცხოვრებაში ზეციურ სასუფეველში, სადაც სიყვარული იზრდება და სრულყოფილი ხდება. თუკი აქ სიყვარულს ძმის დავიწყება არ შეუძლია, მითუმეტეს წმინდანები არ გვივიწყებენ და ჩვენთვის ლოცულობენ“- ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ბერი ვიტალის ნათელ ხსოვნას, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ არ წყდება გასაჭირში მყოფთათვის მისი სასწაულებრივი შემწეობა.

აი, ასეთი შემწეობის ერთი მაგალითი: ორიოდე წლის წინ ერთი მოძღვარი მეტისმეტ გასაჭირში ჩავარდა და დაღუპვის პირას იმყოფებოდა. ასეთ მდგომარეობაში მივიდა იგი ერთხელ ტაძარში, სადაც კედელზე მამა ვიტალის სურათი ეკიდა. უყურებდა რა მას, მღვდელმა სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „მამა ვიტალი, მიშველე! ხომ ხედავ, ვიღუპები“... და უეცრად მან უდიდესი განცვიფრებითა და სიხარულით დაინახა, რომ ფოტოგრაფიული გამოსახულება გაცოცხლდა. მამა ვიტალიმ თავი დაუქნია და უთხრა: „დაგეხმარები“. დაპირება აღსრულდა. მღვდლის საქმეებმა მკვეთრად დაიწყო გამოსწორება. ამჟერად იგი სრულიად ნორმალურ მდგომარეობაშია.

1 დეკემბერს მისი გარდაცვალების დღეს, პატივს მივაგებთ ნათელშემოსილი ბერის, სქიმარქიმანდიტ ვიტალის ხსოვნას და უფალს გულმხურვალე ლოცვით შევთხოვთ: „წმინდათა შორის განუსვენე უფალო, სულსა მონისა შენისა, მისივე ლოცვებით შეგვიწყალე ჩვენ, ცოდვილნი!“

ნინო პოპიაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.

როგორ გახდა ზემო მაჩხაანი ღვინის წარმოების ლიდერი და რატომ ბინადრობდნენ ქიზიყში აქლემები?!

ზემო მაჩხაანი მეცხრამეტე საუკუნის 10 უმსხვილეს ღვინის მწარმოებელ სოფელს შორისაა. როგორც საარქივო მონაცემებშია მოცემული, 1878 წლის სტატისტიკური ცნობების თანახმად, სოფელი ზემო მაჩხაანი მეხუთე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ დიდ სოფლებს, როგორებიცაა: ველისციხე, გურჯაანი, ჯიმითი და ბოდბე. ამავე მონაცემების თანახმად ამ დროისთვის ზემო მაჩხაანში 517 კომლი ცხოვრობდა. მოწინავე ადგილებს იკავებენ და ზემო მაჩხაანს უსწრებენ შემდეგი სოფლები: ბოდბისხევი, ვაქირი, კარდენახი და ანაგა.

1888 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ საქართველოში იმოგზაურა და კახეთში სტუმრობისას ისე მოიხიბლა კახური ღვინის გასტრონომიული თისებებით, რომ გადაწყვიტა მისი სასახლის კარზე ფრანგული ღვინო კახური ღვინით ჩაენაცვლებინა.

მიუხედავად კომლთა სიმრავლისა და ყურძნის მოყვანაში კარგი მაჩვენებლებისა, ამავე წელს ილია ჭავჭავაძის გაზეთი დროება წერდა: ზემო მაჩხაანი ახლოა ქვემო მაჩხაანთან, მაგრამ მოკლებულია ყოველსავე ქვემო მაჩხაანის წარმატებას. გაზეთის ამ მონაკვეთში არ არის დაკონკრეტებული რა იგულისხმება, ან რით ჩამორჩება ზემო მაჩხაანი ქვემო მაჩხაანს.

„გვწერენ სილნაღის მაზრიდან:

„სოფელ ზემო-მაჩხაანში შემთხვევით ვნახეთ ერთი ოჯახი, რომელიც მოგვაგონებს ძველ ქართულ ოჯახს. ერთ ოჯახს შეადგენს 56 სული ქალი და კაცი.

სახლის უფროსი ილია გოგილაშვილი უკვე 60 წლის მოხუცი ისევ ცოცხალია. ოჯახი მეტისმეტად კარგად და ტკბილადა სცხოვრობს და კარგი შეძლებაცა აქვსო.“

გაზეთი „ივერია“ 1886 წელი, №269

სურათზე: უცნობი ოჯახი. ალ. როინიშვილის ფოტო. მფლობელი ლიკა მამაცაშვილი, ალექსანდრე როინიშვილის ფოტოკოლექცია. (იმხანად სიცოცხლის ხანგრძლივობა სამედიცინო სისტემის არარსებობის გამო ხანმოკლე იყო და 60 წლის ადამიანი უკვე მოხუცად იწოდებოდა).

ქიზიყელი აქლემები

შესაძლოა დღეს ბევრმა ძნელად დაიჯეროს, მაგრამ სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ, სილნაღის მაზრაში სამეურნეო დანიშნულებით რამდენიმე ასეული აქლემი იყო მოშენებული. გარდა იმისა, რომ ქარავანი სავაჭროდ გაივლიდა, როგორც ჩანს, ადგილობრივებიც ინტერესდებოდნენ ამ ცხოველით და ბევრი მათგანი ყიდულობდა და ამრავლებდა კიდეც აქლემებს. ამის შესახებ არქივში შემორჩენილია ფოტომასალაც და სტატისტიკური მონაცემებიც.

არქივში საქართველოს გასაბჭოებამდე დედოფლისწყაროს მხოლოდ სამი სოფლის მონაცემები იძებნება: ზემო მაჩხაანი, არბოშიკი და მირზაანი. ირკვევა, რომ დედოფლისწყაროს სამ სოფელში 37 სული აქლემი ბინადრობდა, აქედან 30 სული მხოლოდ ზემო მაჩხაანში იყო.

1917 წლის მონაცემებით: (სოფელი - სული)

ბოდბისხევი 220
კაკაბეთი 37
ზემო მაჩხაანი 30
ახაშენი 17
შრომა 11
კაჭრეთი 6
არბოშიკი 5
ლაგოდეხი 4
კართუბანი 3
ჩალაუბანი 3
ბაკურციხე 2
მირზაანი 2
ბოდბე 1
ფანიანი 1
ჩაილური 1
სულ სილნაღის მაზრაში – 343 სული

ძალიან საინტერესოა, აქლემების საერთო რაოდენობის 56% ბოდბისხევში რატომ იყო. დასადგენია, რით იყო ეს გამოწვეული, ან უკავშირდება თუ არა ეს ამ სოფელში სავაჭრო ურთიერთობების განვითარების გავლენას...

სურათზე: ***აქლემი გამყოლთან ერთად, ქ. ცარსკიე კალოდცი (დღევანდელი დედოფლისწყარო).*** Сигнахский уезд (Сельскохозяйственная перепись). 1917 წ. ***დ. ერმაკოვის ფოტო. მფლობელი მ. ქუთათელაძე, ეროვნული ფოტომატიანე.***

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

არბოშიკელი ქალის მკვლელობისთვის ძებნილი საფრანგეთმა საქართველოს გადმოსცა

არბოშიკში 61 წლის თამარ სეფიაშვილის მკვლელობის მეოთხე თანამონაწილე, რომელიც საფრანგეთში იმალებოდა, საქართველოს თითქმის 4 წლიანი ლოდინის შემდეგ გადმოეცა. თელაველი დავით პაპუაშვილი, მეტსახელად „დიმედროლა“ დანაშაულის ერთერთი თანამონაწილეა. ის მკვლელობიდან მესამე დღეს მიიმალა, რამდენიმე თვის წინ კი უცხოეთში დააკავეს და მისი ექსტრადირება მოხდა. სასამართლო სხდომა თელავის რაიონულ სასამართლოში 28 ნოემბერს გაიმართა. გაგრძელდა მოწმეთა დაკითხვა. ქალი ყაჩაღობის მიზნით მისივე თანაკლასელმა 2019 წელს ჯგუფურად მოკლა.

შეგახსენებთ, ყაჩაღობა სოფელ არბოშიკში 2019 წლის 6 ნოემბერს მოხდა, რის შედეგადაც, მარტოხელა ქალი გარდაიცვალა. გარდაცვლილი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ახლობლებმა ე.წ. სკოჩით დაბმული გარდაცვლილი აღმოაჩინეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში 61 წლის თამარ სეფიაშვილის მკვლელობის ფაქტზე ამ დრომდე სამი პირი იყო დაკავებული. სოფელ არბოშიკში ამბობენ, რომ დაკავებულთა შორისაა გარდაცვლილის თანაკლასელი ტარიელ ლამაზოშვილი. დანარჩენი დაკავებულები დაზარალებული ოჯახისთვის უცხოა.

ერთ-ერთი ვერსიით, სავარაუდოდ, მსხვერპლმა თავდამსხმელები ამოიცნო, რის გამოც ის სიცოცხლეს გამოასალმეს. ცნობილია, რომ მარტოხელა ქალი ფულს აპროცენტებდა, ამიტომ სოფელში მომხდარს სწორედ ყაჩაღობას უკავშირებდნენ, რადგან თვითმხილველებს საცხოვრებელი სახლი არეული დახვდათ.

„გაოგნებულები ვართ ოჯახში... ოქრო ამოვიცანით ძალიან ბევრ სხვა ნივთთან ერთად, რომელიც პოლიციამ დაკავებულის სახლში აღმოაჩინა! რაც თავიდანვე გვქონდა ჩვენებაში დაფიქსირებული. ფოტოსურათებიც, რომელიც საქმეში დისკზეა. ძალიან ძლიერი პოლიცია გვყავს! მთელი კახეთის სამხარეო სამმართველო იყო ჩართული და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თითოეულ მათგანს,“ – აღნიშნავს გარდაცვლილის შვილი, ირმა ბაღაშვილი.

ტარიელ ლამაზოშვილი და დავით ჯავახიშვილი პოლიციამ იმავე წლის დეკემბერში ბათუმში იმ დროს დააკავა, როცა საზღვრის გადალახვას და ქვეყნის არალეგალურად დატოვებას გეგმავდნენ.

ირმა ბაღაშვილი: „დედას თანაკლასელი ტარიელ ლამაზოშვილი ბათუმში ბულვარში დაკავეს, თურქეთში გადაპარვას ცდილობდა, პირობითი სასჯელი ჰქონდა და ოფიციალურად საზღვარზე ვერ გადადიოდა. მასთან ერთად იყო დავით ჯავახიშვილი, მას არ ქონდა პირობითი, მაგრამ ერთად უნდოდათ გადასვლა. მესამე პირი მძღოლი თორნიკე მანჯავიძე, ქალაქ რუსთავში სახლიდან აიყვანეს. რომელმაც თავიდან დანაშაული აღიარა და ნაგავსაყრელი აჩვენა, სადაც მკვლელობის შემდეგ გადაყარეს დამტვრეული ლეპტოპი, სისხლიანი პირსახოცები და ნიღბები. მოგვიანებით შეაშინეს და ჩვენება შეცვალა. მას 17 წელი მიუსაჯეს. იმ 2 პირს- ტარიელ ლამაზოშვილს და დავით ჯავახიშვილს კი 20-20 წლით პატიმრობა აქვთ შეფარდებული. მათი სახლებიდან იყო ამოღებული ნივთმტკიცებები, ჩემი დის ოქროს ნივთები, რომელიც მერე ჩემმა დამ ამოიცნო. დავით პაპუაშვილი კი ამ წლების განმავლობაში საფრანგეთში იყო გაპარული. ჩემი აზრით, რადგან ეს ჯგუფური დანაშაული იყო, ახლა დაკავებულ პაპუაშვილსაც 20 წელი უნდა მიესაჯოს, ან მეტიც“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები 2019 წლის 6 ნოემბერს, ძალადობის გამოყენებით, ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ არბოშიკში მცხოვრებ, 1959 წელს დაბადებულ თ.ბ.-ს, რის შემდეგაც მისი საცხოვრებელი სახლიდან ფული და სამკაულები გაიტაცეს. თავდასხმის შედეგად თ.ბ. გარდაიცვალა.

შსს-ს ცნობით, პოლიციამ ორი ბრალდებული - ტ.ლ. და დ.ჯ. აჭარაში იმ დროს დააკავა, როდესაც ისინი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, არალეგალური გზით, თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას გეგმავდნენ. ჯგუფის მესამე წევრი - თ.მ. კი სამართალდამცველებმა ქალაქ რუსთავში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სამკაულები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის და ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობდა. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ილია მარტყოფლიშვილი

რამ გამოიწვია ხანძარი ზემო მაჩხაანში?

ზემო მაჩხაანში 83 წლის მარტოხელა ნუნუ ყოჩიაშვილს საცხოვრებელ ი სახლი 24 ნოემბერს დაეწვა. ხანძრის შედეგად საცხოვრებელი ფართი სრულად განადგურდა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ნუნუ ყოჩიაშვილი *(დაზარალებული):* „22 წელია, დიაბეტს ვებრძვი, ბოლო ხანს გულის ოპერაციაც დამჭირდა. დაბლა სულ სარდაფები მაქვს, ამიტომ საცხოვრებელი ძირითადად მაღლა მქონდა. იმ დღეს აივანზე ვიყავი, ვერაფერი გავიგე, არც სუნი მიგრძვნია, არც რაიმე ხმა გამიგია. სამი წელია, შეშის ღუმელი არ მაქვს, ბუნებრივ გაზზე ვთბები, ამიტომ ვერ ვხვდები, რამ გამოიწვია ცეცხლის გაჩენა. შესვლა რომ დავაპირე, შიგნით ისეთი წნევა იყო, გამიჭირდა კარის შეხსნა. ოთახებში უკვე ბოლი იდგა, დავაპირე კედელს გავყვე და შევიდე-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე, ვერაფერს ვხედავდი, თან შემეშინდა და დავიბენი. უკან გამოვბრუნდი. თურმე გარედან ხალხს ბოლიც დაუნახავს და სამაშველო სამსახურს შეატყობინეს. სახანძრო დაგვიანებით ნამდვილად არ მოსულა, უკმაყოფილო არ ვარ. ძველი სახლია, 1963 წელს აშენდა და ჭერი მალე ჩამოინგრა. ელექტროგაყვანილობაც ძველი იყო, არ შეგვიცვლია. ხანძრის გაჩენის მიზეზი არ ვიცი. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა და ისე მალე გავრცელდა ცეცხლი, ვერაფრის გამოტანა და გადარჩენა ვერ შევძელით. რაც ტანზე მეცვა ისღა დამრჩა, დანარჩენი ყველაფერი ცეცხლმა გამინადგურა. იმავე დღეს მოვიდა დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ჩვენი სოფლის დეპუტატი ვანო ნატროშვილი. დამპირდნენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება შეძლებისდაგვარად დამეხმარება. ახლა ჩემთვის ყველანაირი დახმარება მნიშვნელოვანია და მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის“.

ვინაიდან ფართის დიდი ნაწილი განადგურდა, ითქვა ისიც, რომ სახანძრომ დააგვიანა. თუმცა, დედოფლისწყაროელი მაშველები ამბობენ, რომ ადგილზე შეტყობინების შესვლიდან 17 წუთში იყვნენ.

გიორგი იაკობიშვილი *(მერის რწმუნებული ზემო მაჩხაანში):* „იყო ხმები, თითქოს სახანძრომ დაიგვიანა, ისიც ითქვა, წყალი არ იყო, ვერ გაავსესო, მაგრამ ეს არასწორია. წყლის სისტემა ისე გვაქვს, 10 წუთში მოხერხდა სახანძრო მანქანის ავზის შევსება. ორი დედოფლისწყაროს მანქანა მუშაობდა, დაგვეხმარა სიღნაღის სამაშველოც. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების გარდა, სოფელი ეცდება ყველანაირად გვერდით დაუდგეს ამ ოჯახს, ეს იქნება სამშენებლო მასალები, თუ მუშახელი“.

ილია მარტყოფლიშვილი

ბუნებრივი აირის გაჟონვა

ბუნებრივი აირის გაჟონვას აფეთქება მოჰყვა ქალაქ დედოფლისწყაროში. დაზიანებულია ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. 29 ნოემბერს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად მარტოხელა 86 წლის ქალი არ დაშავებულა.

როგორც მისი ოჯახის წევრები "შირაქს" უყვებიან, სავარაუდოდ ბუნებრივი აირი შენობაში მთელი ღამის განმავლობაში გროვდებოდა, აფეთქება კი დილით მოხდა, როცა მოხუცმა ხელების დასაბანად ონკანი მოხსნა და წყლის გამაცხელებელი ჩაირთო.

ზურაბ შეითნიშვილი *(დაზარალებული):* „როგორც თვითმხილველები ამბობენ, ინერციისგან ჭერი აიწია და დაეცაო. დამწვარი არ არის, მაგრამ კედლები დაიბზარა და ჭერიც. წნევამ სახლი საცხოვრებლად სახიფათო გახადა. ზედა სართული საერთოდ მოსახსნელია. მე თბილისში ვცხოვრობ და დედაჩემი აქ მარტო იყო. სავარაუდოდ, წინა დღეს დაბლა სართულზე საკვების მზადებისას გაზი მოშვებული დატოვა, ან დაავიწყდა და ამას ვუკავშირებთ. მადლობა ღმერთს, თვითონ გადარჩა და დაზიანებები არ მიუღია. ამ დროს სწორედ აბაზანის კედელმა გადაარჩინა. ის ქვემოთ იყო, აირი კი - როგორც ჩანს, ზემოთ დაგროვდა და, ძირითადად, მეორე სართული დაზიანდა. როგორც გამოთბება, ალბათ დემონტაჟს დავიწყებ, რადგან არ მინდა, საფრთხის შემცველი იყოს. თუ მანამდე თავისით არ ჩამოიშალა. ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მითხოვია, მაგრამ ახლა ის მომენტია, ხალხს მინდა ვთხოვო მხარდაჭერა. მერიამ შემოგვთავაზა ამ ეტაპზე ბინის ქირა დაგვიფინანსოს და დედაჩემი ქირით გადაიყვანონ უსაფრთხო სახლში. ხალხის მხარდაჭერის იმედი მაქვს“.

ადგილზე იმყოფებოდნენ შესაბამისი სამსახურები, რომლებიც მომხდარის მიზეზებს და სახლის დაზიანების ხარისხს შეისწავლიან. მიმდინარეობს გამოძიება.

შვილები: მანანა, მარინა, ვაჟა მარტყოფლიშვილები, რძალი თამარ ნასრაშვილი, სიძეები: გოდერძი დოლენჯაშვილი, ვასილ ნასრაშვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან

შოთა ილიას ძე მარტყოფლიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 2 დეკემბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

საგალობელი ვაზისა...

„ზამთარი - გრავიურაა, გაზაფხული - აკვარელი, ზაფხული - ზეთით ფერწერა, ხოლო შემოდგომა - წლის სამივე პერიოდის მოზაიკაა“ - ამბობენ.

28 ნოემბერს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში სწორედ შემოდგომის, ამ ლამაზი მოზაიკის ფერები წარმოგვიდგინეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა. დაწყებითი და საშუალო საფეხურის ბავშვებმა, ლექსებით, სიმღერებითა თუ სასცენო დადგმებით, ვაზზე, როგორც შემოდგომის განუყოფელ ნაწილზე ისაუბრეს.

„ქართველი კაცისთვის ვაზი შვილს უთანაბრდება და ეს ნათლად ჩანს კიდეც ჩვენს ფოლკლორში: „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“! ვაზის კულტურა ორგანულადაა შეჭრილი ქართველის სულიერებაში. მისი გამოსახულებით აგებენ ტაძრებსა და სხვა არქიტექტურულ ნაგებობებს, ვაზის გამოსახულება ცენტრალური დეკორია ხუროთმოძღვრებაში. სწორედ ვაზის ჯვრით შემოვიდა ნინო კაბადოკიელი საქართველოში და იქადაგა ქრისტიანობა. რადგან, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წმინდა ნინოს ჯვარი ვაზის ლერწმით შეიქმნა. ამდენად, ვაზი ქართველისათვის რწმენისა და მსოფლმხედველობის მთავარი იარაღია და ეს აირეკლა კიდეც არა მხოლოდ პირველ წიგნში, „ბიბლიაში“, არამედ ქართულ ფოლკლორში, ტრადიციებსა და ზნეობაში: ვაზის კულტურა ქართველებისათვის ღვთითბოძებული სულიერი მისიაა. ქართულში ადამიანის „მეს“, სხეულის კოსმიურ სისტემას, ლაზური (ქართული) კოდით „ვაზი“ ეწოდება“ - ამ სიტყვებს ხშირად მოისმენდა დამსწრე საზოგადოება.

ბავშვებმა იმ მრავალსაუკუნოვან ისტორიაზეც გააკეთეს აქცენტი, რომლის თანახმადაც „საქართველოში შემოსული მტერი, ვაზს ჩეხავდა და ამით ებრძოდა ქართველის რწმენასა და თავისუფლებისმოყვარე სულს. ვაზი და ღვინო გაიდეალებულია ჩვენს კულტურაში, რაც, ბუნებრივია, ვაზისა და ღვინისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოშიც გამორჩეული სიცხადით წარმოჩინდება“ და სწორედ ამიტომ, ღონისძიებაზე წარმოდგენილი თითოეული დადგმა ფიალას, ფიალით ვაზის სადიდებლის თქმას და საგალობელს მოიცავდა.

შეუძლებელია არ აღნიშნო, მოსწავლეების მიერ ნახსენები კახური ღვინო და საქართველოს მეფის, დემეტრე პირველის მიერ შექმნილი, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი - „შენ ხარ ვენახი“, რომელიც საუკუნეების წინ დაიწერა და სადაც ავტორი ღვთისმშობელს ადარებს ვენახს - „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებულიო“. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ „ვაზი არამხოლოდ რწმენისა და ზნეობის სიმბოლო იყო, არამედ ეკონომიკური და სოციალური სიძლიერისაც“.

ვენახი ქართველის ისტორიაა, მისი სინდისი და რწმენაა, მისი სიძლიერე და სიმდიდრე. ეს კი ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეებმა ნათლად გადმოსცეს პოეტ შოთა ნიშნიანიძეს ლექსით „ნატვრა“:

„ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანიც,
ქართველმა კაცმა გალობაც კი ვაზს მიამგვანა.
დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი, ლხინის უფალი,
ჭირნახულის და ჭირვარამის ჭირისუფალი.
“ვაზო, შვილივით ნაზარდოო”... - უთქვამს წინაპარს.
მირონი იცხო ვაზის ჯვრით და გზა გაილამპრა...“

ღონისძიებას **დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი** ესწრებოდა, რომელმაც დასასრულს აღნიშნა: **„დღეს არაჩვეულებრივი სანახაობა გვაჩვენეთ. საოცარი ორგანიზება და საოცარი ფორმა ჰქონდა თქვენს ღონისძიებას. დიდი მადლობა ჩვენს საყვარელ პატარებს. მათ დღეს მრავალმხრივი უნარები გამოავლინეს. თითოეულ მონაწილეს წარმატებას და ლამაზ მომავალს ვუსურვებ. დიდი მადლობა ასევე თითოეულ მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს, ვიცი, რომ მართლაც დიდი შრომა გაქვთ ჩადებული ამ ყველაფრის ორგანიზებაში. ასევე დიდი მადლობა მშობლებს, რადგან მშობლის ჩართულობის გარეშე ამას ვერ ვნახავდით, რაც ვნახეთ. თქვენ ერთი დიდი ჯაჭვი ხართ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ წელიწადის ეს ლამაზი დრო კიდევ უფრო ლამაზად დაგვანახეთ -შემოდგომის ფერებით მორთული და მოკაზმული დარბაზით. ძალიან დიდი მადლობა ყველას“.**

გეტყვით, რომ ღონისძიება ხორნაბუჯის საჯარო სკოლისა და დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ იყო ორგანიზებული, რისთვისაც ბავშვებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ამავეს სახლის სპეციალისტს ნინო სიფრაშვილს.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს და მადლობას უხდის თითოეულ მონაწილე ბავშვს, მასწავლებელსა თუ ამ ღონისძიების სულისჩამდგმელს, საინტერესო, მრავალფეროვანი და ფერადი ღონისძიების ჩატარებისთვის. თქვენ კი მკითხველს, ასეთი სიტყვებით დაგემშვიდობებით:

„რა კარგია მორცხვი შუქით განათებული ვაზის ყვავილი!
რა მშვენიერია კვირტგამოსული ვენახი! რა ტურფაა ვენახისპირას სიცილი!
რა შეედრება მზეთვალა რქაწითელს! დამკრახულ საფერავს!
რა საამოა მტევანდაგრაგნილი ვაზი, ოქროფურცელა ყურძენი!

მართლაც რა გვაქვს ვაზის ანადარი? „ყურძენში თვალი შევიდა!“ – რა ამაყად, რა ღიმილით იტყვის სახელმზიანი ქართველი, რომელსაც ამდენი ამაგი და კეთილმზრუნველობა გამოუჩენია ვაზისადმი ! და როცა საწნახელის პირად დადგება და სამაჭრე ღარის ჩქეფას უყურებს, მაშინ აღარც ერთი ნაოჭი აღარ ემჩნევა სახეზე!“

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.12		სამშაბათი 05.12		ოთხშაბათი 06.12		ხუთშაბათი 07.12		პარასკევი 08.12		შაბათი 09.12		კვირა 10.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	18°	4°	17°	3°	8°	2°	11°	2°	11°	3°	12°	2°	9°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირონსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი